

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ ცოდნის ფონდის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 28 სექტემბერს:

მენეჯმენტის სახელით:

გენერალური დირექტორი

სექტემბერი 28, 2018
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი

სექტემბერი 28, 2018
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი-ს დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ვენ ჩავატარეთ აუდიტი „ა(ა)იპ ცოდნის ფონდი-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ამ დასკვნის ნაწილში: „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, ვაკმაყოფილებთ ამ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ და საქართველოში არსებულ მოთხოვნებს. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას რომელიც შეტანილია წლიურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოველით, რომ წლიური ანგარიშგება იქნება ხელმისაწვდომი ამ აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე IFRS-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკვრიფავთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

2018 წლის 28 სექტემბერი



ა(ა)იპ ცოდნის ფონდი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2017 წლის მდგომარეობით
(ათას ლარში)

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
გრძელვადიანი აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები		18	62	62
ძირითადი საშუალებები	5	29,818	30,719	31,863
მოთხოვნები გარდამავალი დაფინანსებიდან	6	4,980	4,610	4,929
სხვა გრძელვადიანი აქტივები		49	-	-
საინვესტიციო ქონება	7	70,236	75,826	78,419
არამატერიალური აქტივები		163	89	98
მოკლევადიანი აქტივები				
მოკლევადიანი გაცემული სესხები		-	-	7,116
საქონელი	8	7,889	9,357	8,931
წინასწარ გადახდილი თანხები		77	77	709
წინასწარ გადახდილი გადასახადები		1,605	447	655
დებიტორული დავალიანება	9	3,523	5,639	5,337
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		24	53	-
ფული და ფულის ექვივალენტები	10	12,731	5,138	4,069
სასაქონლო მატერიალური ქონება	11	4,592	4,622	4,646
სხვა მოკლევადიანი აქტივები		69	69	16
სულ აქტივები		135,774	136,708	146,850
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები თანხები	12	10,383	18,092	18,512
მიმდინარე ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება		-	82	898
წინასწარ მიღებული თანხები	13	6,589	10,764	7,385
გადასახდელი გადასახადები		-	-	858
მოკლევადიანი ნასესხები თანხები	12	9,421	8,549	6,970
სულ ვალდებულებები		26,393	37,487	34,623
საწესდებო კაპიტალი		55,798	55,739	55,717
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(11,911)	(21,985)	(8,957)
დაგროვებადი დონაციები		65,494	65,467	65,467
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		135,774	136,708	146,850

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

სექტემბერი 28, 2018
თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი

სექტემბერი 28, 2018
თბილისი, საქართველო

9-29 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 3-4 გვერდებზე.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2017	2016
შემოსავალი	14	28,461	18,214
სწავლის გადასახადი	15	5,545	5,537
გრანტები და კონტრაქტები	16	2,293	1,842
საერთო მოგება		36,299	25,593
სხვა საოპერაციო ხარჯები	17	(4,257)	(6,115)
ხელფასების ხარჯი	18	(11,231)	(11,624)
სასწავლო დონაციები	19	(8,061)	(4,751)
ადმინისტრაციული ხარჯები		(643)	(1,190)
ნედლეულის, მასალების და მომსახურების ხარჯები	20	(1,870)	(1,226)
მარკეტინგის ხარჯები		(77)	(187)
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები		(251)	(163)
საიჯარო ხარჯები		(16)	(342)
კომუნალური ხარჯები		(467)	(135)
საპროცენტო შემოსავალი		245	300
საპროცენტო ხარჯები	21	(1,747)	(2,003)
გაყიდული საქონელის თვითღირებულება	22	(4,629)	(181)
დაფინანსებები		(832)	(1,515)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		2,463	(3,539)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		312	187
სხვა არასაოპერაციო ზარალი		(509)	(8,554)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	23	1,156	(1,512)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება	24	4,504	10
მოგება დაბეგვრამდე		7,926	(13,408)
მოგების გადასახადი		(7)	(1,076)
წმინდა მოგება/(ზარალი)		7,919	(14,484)

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

სექტემბერი 28, 2018
 თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი

სექტემბერი 28, 2018
 თბილისი, საქართველო

9-29 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 3-4 გვერდებზე.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	დაგროვებადი დონაციები	სულ
1 იანვარი, 2016	55,717	(8,957)	65,467	112,227
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(14,484)	-	(14,484)
ცვლილებები კაპიტალში	22	1,456	-	1,478
31 დეკემბერი, 2016	55,739	(21,985)	65,467	99,221
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	7,919	-	7,919
ცვლილებები კაპიტალში	59	2,155	27	2,241
31 დეკემბერი, 2017	55,798	(11,911)	65,494	109,381

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

სექტემბერი 28, 2018

თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი

სექტემბერი 28, 2018

თბილისი, საქართველო

9-29 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 3-4 გვერდებზე.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის
 (ათას წართულ ლარში)

	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	36,870	24,351
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	4,309	4,602
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	(11,748)	(6,821)
თანამშრომლებისთვის გადახდილი თანხები	(9,380)	(9,934)
ფულადი ნაკადები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	(75)	(45)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	19,976	12,153
გადახდილი მოგების გადასახდი	(810)	(600)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	(2,439)	(2,664)
გადახდილი დღგ	(934)	(1,826)
გადახდილი ქონების გადასახადი	(531)	(518)
სხვა გადახდილი გადასახადები	(1,716)	(1,779)
გადახდილი პროცენტები	(901)	(1,150)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	12,645	3,616
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები	562	600
ინვესტიციებში გადახდილი ფული	(498)	(644)
სესხების დასაფარად გადახდილი ფული	(6,877)	(3,018)
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(6,813)	(3,062)
ფულადი ნაკადები საფინანსო სამიქნობიდან		
ფული საგრანტო პროექტებში	(775)	(2,890)
სესხებიდან მიღებული ფული	(135)	1,040
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	2,653	2,100
ბანკის საკომისიო	(1)	-
წმინდა ფული გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	1,742	250
ფულის ნაკადების წმინდა ზრდა (კლება)	7,574	804
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	5,138	4,069
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	19	265
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	12,731	5,138

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

სექტემბერი 28, 2018

თბილისი, საქართველო

ფინანსური მენეჯერი

სექტემბერი 28, 2018

თბილისი, საქართველო

9-29 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია 3-4 გვერდებზე.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური

ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფი და მისი საოპერაციო საქმიანობა

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი დაარსდა 2007 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფის რეგისტრირებული მისამართია დავით აღმაშენებლის ხეივანი N240, თბილისი, საქართველო. კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები (იხილეთ გ/შ 1-ის ცხრილი) ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“. 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის სწავლება, მშენებლობა და ჯგუფის საინვესტიციო ქონების მართვა. კომპანიის დირექტორი არის ანასტასია ბენდუქიძე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება:

დასახელება	ქვეყანა	კაპიტალის ინტერესი		
		2017	2016	2015
სს იუპიეს	საქართველო	100%	100%	100%
შპს აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზები	საქართველო	100%	100%	100%
შპს აგროფარმი	საქართველო	100%	100%	100%
შპს აგრომეტი	საქართველო	100%	100%	100%
შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	საქართველო	100%	100%	100%
შპს სახლი დიროშში	საქართველო	100%	100%	100%
შპს სწავლების და განვითარების ცენტრი	საქართველო	100%	100%	100%
შპს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი მზიური	საქართველო	100%	100%	100%
შპს სწავლების ცენტრი	საქართველო	100%	100%	100%
ა(ა)იპ აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდი	საქართველო	100%	100%	100%
ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საქართველო	100%	100%	100%
ა(ა)იპ დავით მიქელაძის მომავალ მეცნიერთა ფონდი	საქართველო	100%	100%	100%
ა(ა)იპ პოლიტიკის და ანალიზის ცენტრი	საქართველო	100%	100%	100%

2. მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება პირველად არის მომზადებული ჯგუფის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის საწყისი ნაშთები მოცემულია 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ყველა სხვა პერიოდის ფინანსური ანგარიშგება, მათ შორის 2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის, მომზადებული იყო ადგილობრივი ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური
გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით
გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური
ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი- საკურსო სხვაობა.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის
საფუძველზე. ამ პრინციპის საფუძვლის გამოყენებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის
ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების
მომგებიანობა და წვდომა ადგილობრივ დაფინანსებასთან ამ ანგარიშგების თარიღის მომდევნო 12
თვის განმავლობაში.

კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მისი შვილობილების შედეგებს, ფულად
ნაკადებს, აქტივებს და ვალდებულებებს.

შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. შვილობილი კომპანიების
კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც სათაო კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება
იმ დღეს, როდესაც სათაო კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და
ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვითება მთლიანად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

კლასიფიკაციის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით
ან ამორტიზირებული ღირებულების ისე, როგორ ახსნილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება არის ის ღირებულება, რომლითაც აქტივი შესაძლოა გაიცვალოს ან
ვალდებულება გაიქვითოს მხარეებს შორის სამართლიანი საბაზრო ტრანზაქციის ფარგლებში.
სამართლიანი ღირებულება არის მიმდინარე ყიდვის ფასი ფინანსური აქტივისთვის ან მიმდინარე
გაყიდვის ფასი ფინანსური ვალდებულებისთვის, რომლების კვოტირდებიან აქტიურ ბაზარზე.

გაქვითვის რისკის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის, ჯგუფს შეუძლია
გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი გაქვითვის რისკის პოზიციის სამართლიანი ღირებულების
დასადგენად და მიაკუთვნოს ყიდვის ან გაყიდვის ფასი წმინდა ღია პოზიციის შესაბამისად.
ფინანსური აქტივი მიიჩნევა კვოტირებულად აქტიურ ბაზარზე თუ ფასები არის დროულად და
რეგულარულად ხელმისაწვდომი და ეს ფასები წარმოადგენს რეგულარული საბაზრო
ღირებულების ტრანზაქციების ფასებს.

შეფასების ტექნიკა როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი ან მოდელი
დაფუძნებული ბოლო საბაზრო ტრანზაქციის ღირებულებაზე ან ინვესტორის ფინანსური
მონაცემების გათვალისწინება გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი
ღირებულების დასადგენად იმ შემთხვევაში, როცა მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტები არ
კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. შეფასების მეთოდებს შესაძლოა დაჭირდეთ დაშვებები რომლების
არ იკვეთება ბაზარზე. ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებები გაკეთდება იმ
შემთხვევაში, როდესაც გამოყენებული დაშვებების ცვლილება შესაძლოა ალტერნატივებით
გამოიწვევს განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, ჯამური აქტივების ღირებულებას ან ჯამური
ვალდებულებების ღირებულებას.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

ტრანზაქციის ღირებულება არის ზრდადი ღირებულება რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, გამოშვებასთან ან გასხვისებასთან. დამატებითი ღირებულება არის ისეთი ღირებულება, რომელიც არ წარმოიქმნებოდა იმ შემთხვევაში თუ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა. ტრანზაქციის ღირებულება მოიცავს საფასურს და საკომისიოს გადახდილს აგენტებზე (მათ შორის თანამშრომლებზე როგორც გაყიდვის აგენტებზე), კონსულტანტებზე, ბროკერებზე და დილერებზე, მარეგულირებელი ორგანოების და ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადახდილ მოსაკრებელს, შესაბამისი საგადასახადო ვალდებულების გადახდებს. ტრანზაქციის ღირებულება არ მოიცავს სესხის პრემიუმებს ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს და ადმინისტრირების ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის ღირებულება რომლითაც ხდება ფინანსური აქტივის საწყისი აღიარება გამოკლებული ყველა ძირი გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივს გამოკლებული ყველა ჩამოწერა და გაუფასურება. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის ღირებულების ამორტიზაციას გადავადებულს საწყისი აღიარებისას და ყველა პრემიუმის და დისკონტის ამორტიზაციას ეფექტური პროცენტის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ნაჩვენები განცალკევებულად და მოცემულია ფინანსური აქტივების ღირებულებასთან ერთად.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო ხარჯების და შემოსავლების ალოკაციის მეთოდი რელევანტურ პერიოდებზე უწყვეტი პერიოდის საპროცენტო განაკვეთის მიღწევისთვის. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო მომავალ ფულად გადახდებს ან მიღებებს (გარდა მომავალი საკრედიტო ზარალებისა) ფინანსური აქტივის სავარაუდო სასიცოცხლო ვადის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ პერიოდში, ფინანსური აქტივის ნეტო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადისკონტირებს ფულად ნაკადებს ცვლადი პროცენტის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისას მომავალი საპროცენტო განაკვეთის გადაანგარიშებამდე გარდა პრემიუმისა და დისკონტისა.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი ვარდება სესხების ან დებიტორული დავალიანების აღრიცხვის კატეგორიაში. სესხები და დებიტორული მოთხოვნები წარმოადგენენ არადერივატიულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან გამოყვანადი გადახდებით რომლებიც არ კვოტირდებიან აქტიურ ბაზარზე. ისინი წარმოადგენენ მიმდინარე აქტივებს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მათი ვადიანობა აღემატება 12 თვეს რომელიც აითვლება ანგარიშგების თარიღიდან, ასეთ შემთხვევაში კლასიფიკაცია იქნება გრძელვადიან აქტივებში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სხვა ფინანსურ ვალდებულებად და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მაშინ როდესაც (ა) ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი,

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

მაგრამ გადასცა სხვა აქტივზე კონტროლი. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში როდესაც კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდოს აქტივი არა დაკავშირებულ მხარეზე დამატებითი შეზღუდვების გარეშე.

ამორტიზირებული ღირებულებით რიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის, ჯგუფი უპირველესად აფასებს იმას, გაუფასურება არსებობს ინდივიდუალურად ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ცალკე არის მნიშვნელოვანი, თუ ერთობლივად ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ არსებობს გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, იმის მიუხედავად, იქნება ის მნიშვნელოვანი თუ არა, იგი მოიცავს აქტივს ფინანსური აქტივების ჯგუფში, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებასთან დაკავშირებით. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია გაუფასურებაზე და რომლისთვისაც გაუფასურების ზარალი არის, ან განაგრძობს იყოს, აღიარებული, არ შედის გაუფასურების ერთობლივ შეფასებაში.

გაუფასურების ზარალის თანხა, რომელიც ფასდება, როგორც განსხვავება აქტივების საბალანსო მაჩვენებლებსა და გეგმიური სამომავლო ნაღდი ფულის ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო გეგმიური საკრედიტო ზარალებისა, რომლებიც ჯერ არ დამდგარა). სამომავლო გეგმიური ნაღდი ფულის ნაკადების ახლანდელი ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო მაჩვენებელი შემცირებულია შეფასებული რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და ზარალის ოდენობა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავალი განაგრძობს დარიცხვას შემცირებულ საბალანსო მაჩვენებელზე საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც გამოყენებულია სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის გაუფასურების ზარალის გაანგარიშების მიზნით. შემოსავალი პროცენტებიდან აღინუსხება, როგორც ფინანსური შემოსავლის ნაწილი მოგება-ზარალის ანგარიშში.

სესხები, თანმხლებ დანამატებთან ერთად, ჩამოიწერება, როდესაც არ არსებობს სამომავლო ამოღების რეალური პერსპექტივა და ყველა უზრუნველყოფა რეალიზებული იქნა ან გადაეცა ჯგუფს. თუ, მომდევნო წელს, შეფასებული გაუფასურების ზარალის თანხა იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენის გამო, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება შეფასებადი რეზერვის ანგარიშის რეგულირებით. თუ ჩამოწერა მოგვიანებით ამოღებულია, ამონაღები კრედიტდება ფინანსურ ხარჯებად მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, მიმდინარე ანგარიშებისა და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსია:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	01 იანვარი 2016
1 USD/GEL	2.5922	2.6468	2.3966
1 EUR/GEL	3.1044	2.7940	2.6137

პერიოდის საშუალო საპროცენტო განაკვეთი:

	2017	2016
1 USD/GEL	2.5086	2.3667
1 EUR/GEL	2.8322	2.6172

დებიტორული მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში გადაფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირადად ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან

მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორც ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საკონტროლო, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური

ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, გარდა შენობებისა, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შენობები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით. მოგება/ზარალი, რომელიც წარმოიქმნება საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებით, აღიარდება მოგება-ზარალში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო პერიოდის ვადა წლებში
შენობები	20
მანქანა დანადგარები	5-15
ავეჯი, საოფისე ინვენტარი და სხვა	2-10

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

საკრედიტო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და გადაფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან ჯგუფის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი გადასახადი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში გადახდილ დივიდენდებთან ერთად. ამრიგად, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს არ არსებობს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარებულია ნომინალური ღირებულებით.

თანამშრომელთა სარგებელი და სხვა კონტრიბუცია

თანამშრომელთა სარგებელი, ხელფასები და სხვა კონტრიბუცია, ასევე ბონუსები, წლიური შვებულებები და შვებულებები ავადმყოფობის გამო აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც ის წარმოიშება ანუ როდესაც მოხდა შესაბამისი მომსახურების მიღება ჯგუფის მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი მუდმივად აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ცნობით აქტივებზე და ვალდებულებებზე სამომავლოდ. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ მოვლენებს, რომლებიც სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

ა(ა)იკ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
(ათას ლარში)

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან. კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ჯგუფი დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა. ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ამოქმედდა ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან

- შესწორება IAS 12 (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომლებიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, აკონკრეტებს გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარებას, რაც უკავშირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ სასესხო ვალდებულებას.

- შესწორება IAS 7 სახელწოდებით ინიციატივა ინფორმაციის გახსნის სფეროში (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, სრულყოფს ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებს პირის ფინანსური საქმიანობების შესახებ.

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა და რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები (გამოცემული 2014 წლის ივლისში) – აღნიშნული სტანდარტი ცვლის IAS 39-ს (და IFRS 9-ს ყველა წინა ვერსიას) რომლებიც ამოქმედდება ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული. იგი მოიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გაუფასურების, ხეჯირების აღრიცხვის და ჩამოწრის კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

- o IFRS 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი რიგის მიხედვით იყოს შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით (მოგების ან ზარალის საშუალებით, ან სხვა ერთობლივი შემოსავლის საშუალებით), მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით იმ ბიზნეს მოდელთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც მათ ფლობენ და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებთან მიმართებაში.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

o ფინანსური ვალდებულებებისათვის, IFRS 9 -ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების არჩევანი: ცვლილების ოდენობა ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება მოგების ან ზარალის საშუალებით სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას, რომელიც შეესაბამება ცვლილებებს ამ ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკში, აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში უფრო მეტად ვიდრე მოგება-ზარალში) თუ აღნიშნული არ ქმნის საანგარიშო ცდომილებას.

o ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის, IFRS 9 წარმოადგენს „მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის“ მოდელს კონტრაქტის შესავალ ნაწილში მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების კონცეფციაზე დაყრდნობით; გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობა ადარ იქნება საჭირო საკრედიტო ზარალის აღიარებამდე.

o ხეჯირების აღრიცხვისათვის, IFRS 9 წარმოადგენს არსებით ზედმიწევნით ნებართვას ფინანსური ანგარიშებისათვის, უკეთესად ასახოს თუ როგორ ხორციელდება რისკის მართვის ღონისძიებები ფინანსური და არა-ფინანსური რისკების საფრთხეების ხეჯირებისას.

o დებულებები გაუფასურების შესახებ თითქმის უცვლელად გადადის IAS 39-დან.

მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 9 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

• IFRS 15 შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან (გაცემული 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, რომელიც ცვლის IAS 11, IAS 18 და მათ განმარტებებს (SIC-31 და IFRIC 13, 15 და 18). იგი ადგენს ერთეულ და ყოვლისმომცველ ჩარჩოს შემოსავლის აღიარებისათვის, რათა გამოყენებული იქნას გულმოდგინედ გარიგებების, წარმოებების და კაპიტალის ბაზრებზე, საბაზისო პრინციპით (დაფუძნებული ხუთნაბიჯიან მოდელზე, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან დადებულ ყველა კონტრაქტზე), ინფორმაციის მთლიან გახსნა ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (და ახალი ან გაუმჯობესებული მითითებები (მაგ პუნქტი, რომელზედაც შემოსავალი არის აღიარებული, აღრიცხვა ცვლადი ანაზღაურებისათვის, კონტრაქტების შესრულების და მოზიდვის ხარჯები და სხვა), მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 15 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

• IFRS 16 ქირავნობა (გამოცემული 2016 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედია ყოველწლიური პერიოდისათვის 2019 წლის 1 იანვრიდან, ცვლის IAS 17 და მის განმარტებებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). იგი ადგენს ერთეული ქირავნობის აღრიცხვის მეთოდს, რომელიც მოითხოვს დამქირავებლისგან აღიაროს აქტივები და პასივები ყველა ქირავნობისათვის, გარდა ქირავნობისა, რომლის ვადა არის 12 თვე ან ნაკლები ან საბაზისო აქტივს აქვს დაბალი ღირებულება. დამქირავებლები განაგრძობენ ქირავნობის კლასიფიცირებას, როგორც ფუნქციონირებისა ან ფინანსებისა, IFRS 16-ს მიდგომა დამქირავებლის მიმართ არსებითად უცვლელია მისი წინარმობედისგან, IAS 17-სგან. მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 16 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი ვარდება სესხების ან დებიტორული დავალიანების აღრიცხვის კატეგორიაში. სესხები და დებიტორული მოთხოვნები წარმოადგენენ არადერივატიულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან გამოყვანადი გადახდებით რომლებიც არ კვოტირდებიან აქტიურ ბაზარზე. ისინი წარმოადგენენ მიმდინარე აქტივებს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მათი ვადიანობა აღემატება 12 თვეს რომელიც აითვლება ანგარიშგების თარიღიდან, ასეთ შემთხვევაში კლასიფიკაცია იქნება გრძელვადიან აქტივებში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სხვა ფინანსურ ვალდებულებად და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას მაშინ როდესაც (ა) ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი,

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

მაგრამ გადასცა სხვა აქტივზე კონტროლი. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში როდესაც კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდოს აქტივი არა დაკავშირებულ მხარეზე დამატებითი შეზღუდვების გარეშე.

ამორტიზირებული ღირებულებით რიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის, ჯგუფი უპირველესად აფასებს იმას, გაუფასურება არსებობს ინდივიდუალურად ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ცალკე არის მნიშვნელოვანი, თუ ერთობლივად ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი. თუ ჯგუფი დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ არსებობს გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, იმის მიუხედავად, იქნება ის მნიშვნელოვანი თუ არა, იგი მოიცავს აქტივს ფინანსური აქტივების ჯგუფში, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებასთან დაკავშირებით. აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია გაუფასურებაზე და რომლისთვისაც გაუფასურების ზარალი არის, ან განაგრძობს იყოს, აღიარებული, არ შედის გაუფასურების ერთობლივ შეფასებაში.

გაუფასურების ზარალის თანხა, რომელიც ფასდება, როგორც განსხვავება აქტივების საბალანსო მაჩვენებლებსა და გეგმიური სამომავლო ნაღდი ფულის ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო გეგმიური საკრედიტო ზარალებისა, რომლებიც ჯერ არ დამდგარა). სამომავლო გეგმიური ნაღდი ფულის ნაკადების ახლანდელი ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო მაჩვენებელი შემცირებულია შეფასებული რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და ზარალის ოდენობა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშში. საპროცენტო შემოსავალი განაგრძობს დარიცხვას შემცირებულ საბალანსო მაჩვენებელზე საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც გამოყენებულია სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის გაუფასურების ზარალის გაანგარიშების მიზნით. შემოსავალი პროცენტებიდან აღინუსხება, როგორც ფინანსური შემოსავლის ნაწილი მოგება-ზარალის ანგარიშში.

სესხები, თანმხლებ დანამატებთან ერთად, ჩამოიწერება, როდესაც არ არსებობს სამომავლო ამოღების რეალური პერსპექტივა და ყველა უზრუნველყოფა რეალიზებული იქნა ან გადაეცა ჯგუფს. თუ, მომდევნო წელს, შეფასებული გაუფასურების ზარალის თანხა იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენის გამო, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება შეფასებადი რეზერვის ანგარიშის რეგულირებით. თუ ჩამოწერა მოგვიანებით ამოღებულია, ამონაღები კრედიტდება ფინანსურ ხარჯებად მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, მიმდინარე ანგარიშებისა და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსია:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	01 იანვარი 2016
1 USD/GEL	2.5922	2.6468	2.3966
1 EUR/GEL	3.1044	2.7940	2.6137

პერიოდის საშუალო საპროცენტო განაკვეთი:

	2017	2016
1 USD/GEL	2.5086	2.3667
1 EUR/GEL	2.8322	2.6172

დებიტორული მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში გადაფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირადპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან

მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორ ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საკონცნელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, გარდა შენობებისა, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შენობები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შემენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით. მოგება/ზარალი, რომელიც წარმოიქმნება საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებით, აღიარდება მოგება-ზარალში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

სასარგებლო პერიოდის ვადა წლებში

შენობები	20
მანქანა დანადგარები	5-15
ავეჯი, საოფისე ინვენტარი და სხვა	2-10

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

საკრედიტო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება აღიარდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და გადაფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა მოგების გადასახადის ახალი („ესტონური“) მოდელი, რაც ძირითადად გულისხმობს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების დივიდენდად განაწილების შემთხვევაში (ნაცვლად მოგების დაბეგვრისა გამომუშავების მომენტში). შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან ჯგუფის დასაბეგრი მოგება არის გადახდილი დივიდენდების ტოლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი გადასახადი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში გადახდილ დივიდენდებთან ერთად. ამრიგად, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს არ არსებობს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარებულია ნომინალური ღირებულებით.

თანამშრომელთა სარგებელი და სხვა კონტრიბუცია

თანამშრომელთა სარგებელი, ხელფასები და სხვა კონტრიბუცია, ასევე ბონუსები, წლიური შვებულებები და შვებულებები ავადმყოფობის გამო აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც ის წარმოიშვება ანუ როდესაც მოხდა შესაბამისი მომსახურების მიღება ჯგუფის მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი მუდმივად აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ცნობით აქტივებზე და ვალდებულებებზე სამომავლოდ. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ მოვლენებს, რომლებიც სარწმუნოა, რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან. კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ჯგუფი დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა. ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ამოქმედდა ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან

- შესწორება IAS 12 (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომლებიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, აკონკრეტებს გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარებას, რაც უკავშირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ სასესხო ვალდებულებას.

- შესწორება IAS 7 სახელწოდებით ინიციატივა ინფორმაციის გახსნის სფეროში (გამოცემული 2016 წლის იანვარში) – შესწორებები, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2017 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, სრულყოფს ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს პირის ფინანსური საქმიანობების შესახებ.

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა და რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები (გამოცემული 2014 წლის ივლისში) – აღნიშნული სტანდარტი ცვლის IAS 39-ს (და IFRS 9-ს ყველა წინა ვერსიას) რომლებიც ამოქმედდება ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული. იგი მოიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების გაუფასურების, ხეჯირების აღრიცხვის და ჩამოწერის კლასიფიკაციისა და შეფასებასთან დაკავშირებით.

ა(ა)ივ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

o IFRS 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი რიგის მიხედვით იყოს შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით (მოგების ან ზარალის საშუალებით, ან სხვა ერთობლივი შემოსავლის საშუალებით), მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით იმ ბიზნეს მოდელთან მიმართებაში, რომლის ფარგლებშიც მათ ფლობენ და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლებთან მიმართებაში.

o ფინანსური ვალდებულებებისათვის, IFRS 9 -ს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა უკავშირდება შემთხვევებს, როდესაც გამოყენებულია სამართლიანი ღირებულების არჩევანი: ცვლილების ოდენობა ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში, რომელიც მიეკუთვნება მოგების ან ზარალის საშუალებით სამართლიანი ღირებულებით გადაფასებად კატეგორიას, რომელიც შეესაბამება ცვლილებებს ამ ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკში, აღიარებულია სხვა ერთობლივ შემოსავალში უფრო მეტად ვიდრე მოგება-ზარალში) თუ აღნიშნული არ ქმნის საანგარიშო ცდომილებას.

o ფინანსური აქტივების გაუფასურებისათვის, IFRS 9 წარმოადგენს „მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის“ მოდელს კონტრაქტის შესავალ ნაწილში მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების კონცეფციაზე დაყრდნობით; გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობა აღარ იქნება საჭირო საკრედიტო ზარალის აღიარებამდე.

o ხეჯირების აღრიცხვისათვის, IFRS 9 წარმოადგენს არსებით ზედმიწევნით ნებართვას ფინანსური ანგარიშებისათვის, უკეთესად ასახოს თუ როგორ ხორციელდება რისკის მართვის ღონისძიებები ფინანსური და არა-ფინანსური რისკების საფრთხეების ხეჯირებისას.

o დებულებები გაუფასურების შესახებ თითქმის უცვლელად გადადის IAS 39-დან.

მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 9 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

• IFRS 15 შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან (გაცემული 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს ყოველწლიური პერიოდისათვის 2018 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, რომელიც ცვლის IAS 11, IAS 18 და მათ განმარტებებს (SIC-31 და IFRIC 13, 15 და 18). იგი ადგენს ერთეულ და ყოვლისმომცველ ჩარჩოს შემოსავლის აღიარებისათვის, რათა გამოყენებული იქნას გულმოდგინედ გარიგებების, წარმოებების და კაპიტალის ბაზრებზე, საბაზისო პრინციპით (დაფუძნებული ხუთნაბიჯიან მოდელზე, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან დადებულ ყველა კონტრაქტზე), ინფორმაციის მთლიან გახსნა ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ (და ახალი ან გაუმჯობესებული მითითებები (მაგ პუნქტი, რომელზედაც შემოსავალი არის აღიარებული, აღრიცხვა ცვლადი ანაზღაურებისათვის, კონტრაქტების შესრულების და მოზიდვის ხარჯები და სხვა), მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 15 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

• IFRS 16 ქირავნობა (გამოცემული 2016 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც მოქმედია ყოველწლიური პერიოდისათვის 2019 წლის 1 იანვრიდან, ცვლის IAS 17 და მის განმარტებებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). იგი ადგენს ერთეული ქირავნობის აღრიცხვის მეთოდს,

ა(ა)ივ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

რომელიც მოითხოვს დამქირავებლისგან აღიაროს აქტივები და პასივები ყველა ქირავნობისათვის, გარდა ქირავნობისა, რომლის ვადა არის 12 თვე ან ნაკლები ან საბაზისო აქტივს აქვს დაბალი ღირებულება. გამქირავებლები განაგრძობენ ქირავნობის კლასიფიცირებას, როგორც ფუნქციონირებისა ან ფინანსებისა, IFRS 16-ს მიდგომა დამქირავებლის მიმართ არსებითად უცვლელია მისი წინარმოხედისგან, IAS 17-სგან. მენეჯმენტი მოელის, რომ IFRS 16 მიღებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც იგი სავალდებულო გახდება და რომ ახალი სტანდარტის გამოყენებას ექნება მნიშვნელოვანი შედეგი იმ თანხებზე, რაც მოცემული იქნება ანგარიშში კომპანიის შემოსავლებთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლებელია ამ გავლენის გონივრული შეფასების წარმოდგენა, სანამ არ დასრულდება დეტალური განხილვა.

- ახალი სტანდარტი ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან. ფასს 17 მოითხოვს სადაზღვეო კონტრაქტების შეფასებას მიმდინარე შესრულების ღირებულებით და უფრო ერთგვაროვან შეფასებას და პრეზენტაციას ყველა სადაზღვეო კონტრაქტის. ეს მოთხოვნები არის იმისთვის, რომ მიღწეული იყოს უფრო თანმიმდევრული, პრინციპებზე დამოკიდებული აღრიცხვა სადაზღვეო კონტრაქტების.

- IFRS 2 წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის კლასიფიკაცია და შეფასება (გამოცემული 2016 წლის ივნისში) - ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ფასს 2-ში „წილობრივი გადახდა“, რომლებიც ეხება სამ ძირითად საკითხს: უფლების გადაცემის პირობების გავლენას ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგებებზე; ურთიერთგაქვითვის პირობის მქონე წილობრივი გადახდის გარიგების კლასიფიკაციას დაკავებული გადასახადის ვალდებულებებისთვის; და ბუღალტრულ აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც წილობრივი გადახდის გარიგების პირობების შეცვლის შედეგად, იგი ფულით განსაზღვრულის კატეგორიიდან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულ კატეგორიაში გადადის.

ცვლილების მიღებისას საწარმოებს მოეთხოვებათ ცვლილებების გამოყენება წინა პერიოდების გადანაგარიშების გარეშე, მაგრამ რეტროსპექტულად გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მას გამოიყენებს სამივე ცვლილების შემთხვევაში და ასევე დაკმაყოფილება სხვა კრიტერიუმებიც. ცვლილებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების პოტენციურ გავლენას თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ის ცვლის 57 მუხლს და აცხადებს, რომ საწარმომ უნდა დააკლასიფიცროს აქტივი, როგორც საინვესტიციო ქონება ან შეწყვეტოს აქტივის საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირება, მხოლოდ მაშინ, როდესაც არის მტკიცებულება მოხმარების ცვლილების. ქონების მოხმარების ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც აქტივი აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების დეფინიციას. მენეჯმენტის მიზნის ცვლილება გამოიყენოს აქტივი სხვა დანიშნულებით არ ნიშნავს აქტივის იმის მტკიცებულებას, რომ აქტივის მოხმარების მიზანი შეცვლილია.

- ფასს 1 ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. აუქმებს მოკლევადიან გამონაკლისს E3-E7 მუხლებში ფასს 1 სტანდარტის.

- ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ახალი სტანდარტი ეფექტურია პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. ახალი სტანდარტი განმარტავს, რომ ინვესტიცია ისეთ მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოში რომელიც წარმოადგენს სარისკო კაპიტალის ორგანიზაციას, ან სხვა საპაიო საწარმოს, შესაძლოა აღრიცხული იყოს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალიდან, საწყისი აღიარების დროს.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
(ათას ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	წიგნები	კომპიუტერები და სხვა ციფრული ტექნიკა	ავეჯი, საოფისე აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	მიმდინარე მშენებლობა	სხვა	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>									
1 იანვარი, 2016	21,461	3,221	2,678	6,211	2,558	2,451	62	34	38,676
მატება	-	2	11	2	32	246	-	475	768
კლება	-	-	-	(32)	(41)	(30)	-	(20)	(123)
31 დეკემბერი, 2016	21,461	3,223	2,689	6,181	2,549	2,667	62	489	39,321
მატება	-	2	12	108	176	635	664	981	2,578
კლება	(932)	(22)	-	(47)	(46)	(16)	(664)	-	(1,727)
31 დეკემბერი, 2017	20,529	3,203	2,701	6,242	2,679	3,286	62	1,470	40,172
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>									
1 იანვარი, 2016	-	(129)	(1,175)	(2,806)	(1,715)	(867)	-	(121)	(6,813)
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	(150)	(291)	(794)	(246)	(311)	-	(36)	(1,828)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებისას	-	-	-	19	4	5	-	11	39
31 დეკემბერი, 2016	-	(279)	(1,466)	(3,581)	(1,957)	(1,173)	-	(146)	(8,602)
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	(152)	(293)	(771)	(163)	(350)	-	(44)	(1,773)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებისას	-	6	-	-	6	3	-	6	21
31 დეკემბერი, 2017	-	(425)	(1,759)	(4,352)	(2,114)	(1,520)	-	(184)	(10,354)
<i>წმინდა ღირებულება</i>									
31 იანვარი, 2016	21,461	3,092	1,503	3,405	843	1,584	62	(87)	31,863
31 დეკემბერი, 2016	21,461	2,944	1,223	2,600	592	1,494	62	343	30,719
31 დეკემბერი, 2017	20,529	2,778	942	1,890	565	1,766	62	1,286	29,818

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

6. დავალიანება გარდამავალი დაფინანსებიდან

ცოდნის ფონდი თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებს სთავაზობს გარდამავალ დაფინანსებას „ისწავლე დღეს - ასწავლე ხვალ“. სტუდენტს შეუძლია 4 წლის განმავლობაში ისწავლოს უფასოდ თავისუფალ უნივერსიტეტში, რასაც ანაზღაურებს ცოდნის ფონდი, ხოლო სტუდენტი გადახდას დაიწყებს 4 წლის შემდეგ. შესაბამისად ცოდნის ფონდს უჩნდება ვალდებულება თავისუფალი უნივერსიტეტის მიმართ ხოლო მოთხოვნა სტუდენტის მიმართ.

7. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
1 იანვარი, 2016	40,840	40,915	81,755
მატება	-	138	138
კლება	(287)	(1,659)	(1,946)
31 დეკემბერი, 2016	40,553	39,394	79,947
მატება	-	742	742
კლება	(4,991)	(701)	(5,692)
31 დეკემბერი, 2017	35,562	39,435	74,997
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>			
1 იანვარი, 2016	-	(3,336)	(3,336)
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	(974)	(974)
ცვეთის ამობრუნება გასხვებისას	-	189	189
31 დეკემბერი, 2016	-	(4,121)	(4,121)
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	(876)	(876)
ცვეთის ამობრუნება გასხვებისას	-	236	236
31 დეკემბერი, 2017	-	(4,761)	(4,761)
<i>წმინდა ღირებულება</i>			
1 იანვარი, 2016	40,840	37,579	78,419
31 დეკემბერი, 2016	40,553	35,273	75,826
31 დეკემბერი, 2017	35,562	34,674	70,236

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

8. საქონელი			
	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	1 იანვარი, 2016
მშენებარე გასაყიდი უძრავი ქონება	2,900	5,752	6,416
დასრულებული გასაყიდი უძრავი ქონება	3,116	1,872	1,027
მზა სასოფლო პროდუქტი	259	263	265
სასოფლო პროდუქტი დამუშავების პროცესში	117	81	73
ლაბორატორიის მარაგები	481	446	423
სამშენებლო მასალები	128	113	113
არამალფუჭებადი სასოფლო ნედლეული	81	81	81
მალფუჭებადი სასოფლო ნედლეული	28	32	30
ნედლეული და მასალები	298	270	385
სხვა მარაგები	481	447	118
სულ	7,889	9,357	8,931

9. დებიტორული დავალიანება			
	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	1 იანვარი, 2016
დებიტორული დავალიანება სწავლების მომსახურებიდან	16,095	12,519	8,480
დებიტორული დავალიანება გარდა სწავლებისა	2,364	4,304	3,838
დებიტორული დავალიანება გაწეული მომსახურებიდან	287	462	308
დებიტორული საიჯარო დავალიანება	267	243	158
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	6	4	60
სხვა	4	5	20
სამთავრობო გრანტი სტუდენტებს	(15,500)	(11,898)	(7,527)
სულ	3,523	5,639	5,337

10. ფული და ფულის ექვივალენტები			
	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	1 იანვარი, 2016
ფული და ფულის ექვივალენტები ბანკში, ეროვნულ ვალუტაში	5,616	3,748	2,725
ფული და ფულის ექვივალენტები ბანკში, უცხოურ ვალუტაში	7,094	1,385	1,343
ნაღდი ფული სალაროში, ეროვნულ ვალუტაში	21	5	1
სულ	12,731	5,138	4,069

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც ჯგუფს მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

11. სასაქონლო მატერიალური ქონება

ჯგუფის ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უძრავი ქონების გადაყიდვა, სასაქონლო მატერიალური ქონების ნაშთი და მოძრაობა შემდეგია:

	2017	2016
1 იანვარი	4,622	4,645
მატება	-	9
გასხვისება (აღიარებული ხარჯში)	(30)	(32)
31 დეკემბერი	4,592	4,622

12. ნასესხები თანხები

კომპანიის ნასესხები სახსრები 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	1 იანვარი, 2016
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
სესხები დაკავშირებული მხარისგან	9,421	8,549	5,538
არარეზიდენტისგან მიღებული სესხი	-	-	1,432
	9,421	8,549	6,970
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
სესხები დაკავშირებული მხარისგან	10,369	10,587	-
ბანკის სესხი	14	7,505	8,932
არარეზიდენტისგან მიღებული სესხი	-	-	9,580
	10,383	18,092	18,512
სულ სასესხო ვალდებულებები	19,804	26,641	25,482

13. წინასწარ მიღებული თანხები

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016	1 იანვარი, 2016
მიღებული ავანსები მიმდინარე მშენებლობაზე	6,407	8,784	7,384
სხვა გასაწევ მომსახურებაზე მიღებული ავანსები	182	1,980	1
სულ	6,589	10,764	7,385

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

14. შემოსავალი		
	2017	2016
სწავლის გადასახადი	12,879	12,493
შემოსავალი სამშენებლო საქმიანობიდან	10,429	2,295
შემოსავალი სერვისის რეალიზაციიდან	1,696	536
საიჯარო შემოსავალი	1,158	1,083
შემოსავალი სერტიფიცირებიდან	540	521
სხვა შემოსავალი	1,759	1,286
სულ	28,461	18,214
15. სწავლის გადასახადი		
	2017	2016
საბაკალავრო პროგრამა	4,471	4,581
სამაგისტრო პროგრამა	398	475
დოქტურანტურა	65	89
კულინარია	599	392
სხვადასხვა სასწავლო პროგრამები	12	-
სულ	5,545	5,537
16. გრანტები და კონტრაქტები		
	2017	2016
ადგილობრივი გრანტები	1,990	1,611
უცხოური გრანტები	303	231
სულ	2,293	1,842
17. სხვა საოპერაციო ხარჯები		
	2017	2016
ცვეთა და ამორტიზაცია	2,195	2,485
სხვა საგადასახადო ხარჯი	1,174	1,197
შემენილი პროდუქცია	264	1,399
კომუნალური ხარჯები	548	510
სხვა საგადასახადო ხარჯი	76	524
სულ	4,257	6,115

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

18. ხელფასების ხარჯი		
	2017	2016
ხელფასები	11,147	11,549
დაზღვევა	84	75
სულ	11,231	11,624

19. სასწავლო დონაციები

საგანმანათლებლო დონაციები შედგება თანხებისგან, რომლებიც გადაეცემათ სტუდენტებს სწავლის საფასურის და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების დასაფინანსებლად.

20. ნედლეულის, მასალების და მომსახურების ხარჯები		
	2017	2016
საკონსულტაციო მომსახურება	751	268
კულინარიის ხარჯები	438	365
კომპიუტერის ხარჯები	181	43
ზედნადები ხარჯი	159	68
დაცვის მომსახურება	147	139
სხვა	194	343
სულ	1,870	1,226

21. ფინანსური ხარჯი

	2017	2016
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხებზე	1,276	1,043
საპროცენტო ხარჯი ბანკისგან მიღებულ სესხებზე	311	758
სხვა	160	202
სულ	1,747	2,003

22. გაყიდული საქონელის თვითღირებულება

	2017	2016
გაყიდული/შემძენილი საქონელი	4,432	1
ქეითერიგნული მომსახურება	97	78
ცვეთა და ამორტიზაცია	80	82
შრომის ანაზღაურება	20	20
სულ	4,629	181

23. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, ჯგუფი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ჯგუფი ექვემდებარება მხოლოდ სავალუტო რისკს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

	2017	2016
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	12,731	5,138
წინასწარ გადახდილი თანხები	77	77
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,605	447
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	24	53
დებიტორული დავალიანება	3,523	5,639
სტუდენტების დებიტორული დავალიანება	4,980	4,610
სულ ფინანსური აქტივები	22,940	15,964

	2017	2016
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები თანხები	19,804	26,641
გადასახდელი გადასახადები	-	76
კრედიტორული დავალიანება	-	82
სულ ფინანსური ვალდებულებები	19,804	26,799

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. ჯგუფს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით:

2017	ლარი	უცხოური ვალუტა	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5,637	7,094	12,731
წინასწარ გადახდილი თანხები	77	-	77
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,605	-	1,605
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	24	-	24
დებიტორული დავალიანება	3,523	-	3,523
სტუდენტების დებიტორული დავალიანება	4,980	-	4,980
სულ ფინანსური აქტივები	15,846	7,094	22,940
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	-	19,804	19,804
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	19,804	19,804
ღია საბალანსო პოზიცია	15,846	(12,710)	
2016	ლარი	უცხოური ვალუტა	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3,753	1,385	5,138
წინასწარ გადახდილი თანხები	77	-	77
წინასწარ გადახდილი გადასახადები	447	-	447
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	53	-	53
დებიტორული დავალიანება	5,639	-	5,639
სტუდენტების დებიტორული დავალიანება	4,610	-	4,610
სულ ფინანსური აქტივები	14,579	1,385	15,964
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები თანხები	8,021	18,620	26,641
გადასახდელი გადასახადები	76	-	76
კრედიტორული დავალიანება	82	-	82
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,179	18,620	26,799
ღია საბალანსო პოზიცია	6,400	(17,235)	

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
(ათას ლარში)

	უცხოური ვალუტის გავლენა 2017		უცხოური ვალუტის გავლენა 2016	
	30%-იანი ზრდა	30%-იანი კლება	30%-იანი ზრდა	30%-იანი კლება
მოგება/(ზარალი)	3,813	(3,813)	5,171	(5,171)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას.

კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

31 დეკემბერი, 2017	ერთ წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	> 5 წლზე	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	12,731	-	-	12,731
წინასწარ გადახდილი თანხები	77	-	-	77
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,605	-	-	1,605
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	24	-	-	24
დებიტორული დავალიანება	3,523	-	-	3,523
სტუდენტების დებიტორული დავალიანება	-	4,980	-	4,980
სულ ფინანსური აქტივები	17,960	4,980	-	22,940
ნასესხები თანხები	6,352	13,452	-	19,804
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,352	13,452	-	19,804
ლიკვიდურობის გარღვევა	11,608	(8,472)	-	3,136
დაგროვებადი ლიკვიდურობის გარღვევა		3,136	3,136	

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების თანდართული შენიშვნები
(ათას ლარში)

31 დეკემბერი, 2016	ერთ წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	> 5 წლზე	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	10,587	-	-	10,587
წინასწარ გადახდილი თანხები	77	-	-	77
წინასწარ გადახდილი გადასახადები	447	-	-	447
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	53	-	-	53
დებიტორული დავალიანება	5,639	-	-	5,639
სტუდენტების დებიტორული დავალიანება	-	4,610	-	4,610
სულ ფინანსური აქტივები	16,803	4,610	-	21,413
ნასესხები თანხები	11,193	15,448		26,641
გადასახდელი გადასახადები	76			76
კრედიტორული დავალიანება	82			82
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,351	15,448		26,799
ლიკვიდურობის გარღვევა	5,452	(10,838)	-	(5,386)
დაგროვებადი ლიკვიდურობის გარღვევა		(5,386)	(5,386)	

1 იანვარი, 2016	ერთ წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	> 5 წლზე	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	4,069			4,069
წინასწარ გადახდილი თანხები	709			709
წინასწარ გადახდილი გადასახადები	655			655
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	-			-
დებიტორული დავალიანება	5,337			5,337
სტუდენტების დებიტორული დავალიანება	-	4,929		4,929
სულ ფინანსური აქტივები	10,770	4,929	-	15,699
ნასესხები თანხები	6,190	19,292		25,482
გადასახდელი გადასახადები	858			858
კრედიტორული დავალიანება	898			898
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,946	19,292	-	27,238
ლიკვიდურობის გარღვევა	2,824	(14,363)	-	(11,539)
დაგროვებადი ლიკვიდურობის გარღვევა		(11,539)	(11,539)	

ამჟამად ჯგუფი თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში.
ამისათვის ჯგუფი ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

24. დაკავშირებული მხარეები

ქვემოთ წარმოდგენილი ტრანზაქციები შესრულდა იგივე პირობებით, როგორი
პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარეებთან.

ა(ა)იპ ცოდნის ფონდი

31 დეკემბერი, 2017 დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

(ათას ლარში)

	31 დეკემბერი, 2017		31 დეკემბერი, 2016		1 იანვარი, 2016	
დასახელება	ბალანსი დაკავშირებ ულ მხარესთან	სულ ბალან სი	ბალანსი დაკავშირებ ულ მხარესთან	სულ ბალან სი	ბალანსი დაკავშირებ ულ მხარესთან	სულ ბალან სი
ნასესხები თანხები	19,804	19,804	26,641	26,641	-	25,482
ორგანიზაციის დირექტორი	19,804	19,804	26,641	26,641	-	25,482

	2017			2016	
დასახელება	ურთიერთობი ს ფორმა	დაკავშირებუ ლ მხარესთან	სულ	დაკავშირებუ ლ მხარესთან	სულ
ხელფასები და ბონუსები	ძირითადი მენეჯმენტი	150,461	11,231	123,193	11,624

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, არაფერი მომხდარა ისეთი, რაც აქ უნდა აღინიშნოს.